



საქართველოს ადოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 016/14¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ანა ქურდაძე (სტუდენტი)

შეკითხვა

ირღვევა თუ არა ადოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, როდესაც ერთ-ერთი იურიდიული ფირმის ფეისბუქ გვერდზე, მომხარებლისათვის გასაცნობად, საჯაროდ, გამოქვეყნებულია ისეთი შინაარსის შემცველი განცხადება, სადაც იურიდიულ ფირმასა და ამ ფირმაში მომუშავე ადოკატების პროფესიონალიზმს, რომელიც გამოხატულია შემდეგი სიტყვებით უწევს რეკლამირებას:

„საუკეთესო იურისტები“.

„ჯგუფის შემადგენლობაში ყოველთვის შედის ადოკატი ფინანსური განათლებით, რაც ფინანსური დავების მოგების საწინდარია“.

„თუ გჭირდებათ საუკეთესო ადოკატები სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ დავებში“.

„The best lawyers of Georgia“.

„თქვენს ინტერესებს დაიცავს პროფესიონალი იურისტები, რომლებიც გარდა იმისა, რომ თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან“.

ანალიზი

ადოკატის საქმიანობის რეკლამირება უნდა განხორციელდეს პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესაბამისად, საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისას, უნდა დაიცვას ადოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8¹ მუხლით დადგენილი პირობები, კერძოდ, რეკლამაში ასახული ინფორმაცია, რომელიც ეხება ადოკატის საქმიანობას უნდა იყოს სწორი და არ უნდა შეიცავდეს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას.

ადოკატი საქმიანობას უნდა ახორციელებდეს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. ადოკატის საქმიანობის რეკლამირება სწორედ პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების დაცვას გულისხმობს. რეკლამაში გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს სწორი და არა შეცდომაში შემყვანი, ასევე, პირდაპირ ან ირიბად არ უნდა მიუთითებდეს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე, მაგრამ ნებისმიერ ადოკატს აქვს უფლება მიიჩნიოს თავი საუკეთესოდ.

დასკვნა

ადოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8¹ მუხლი შესაძლოა, ზოგადად, დაირღვეს იურიდიული ფირმის ხელმძღვანელი ან პარტნიორი ადოკატების მიერ, ვინც მიიღო გადაწყვეტილება შეცდომაში შემყვანი სარეკლამო ტექსტის განთავსების თაობაზე.

შეკითხვაში აღნიშნული ფრაზები, სავარაუდოდ, არღვევს აღნიშნულ რეგულაციას, რადგან მიუთითებს ადოკატთა გარკვეული ჯგუფის საუკეთესოობაზე იმ დროს, როდესაც

¹ <https://gba.ge/pdf/5c7fb83d1e2f6.pdf/06%20January%202015%20016.14.pdf>

შეუძლებელია იმ ობიექტური კრიტერიუმების დადგენა, რითაც რომელიმე ადვოკატი ან ადვოკატთა ჯგუფი შესაძლოა მიჩნეული იქნას საუკეთესოდ, ანუ ყველა სხვა დანარჩენ ადვოკატზე უფრო ძლიერად, თანაც დროის განუსაზღვრელ მონაკვეთში. ასევე, მითითებული ფრაზები შეიცავს ინფორმაციას პოტენციურ კონკურენტებზე, რომლებშიც მოიაზრება ყველა სხვა ადვოკატი და მიზნად ისახავს საკუთარი თავის წარმოჩენას სხვაზე უფრო უკეთესად.